პრესრელიზი

ქართველი ფილოლოგის სახელობის მოედნის გახსნის ცერემონია

22 ნოემბერს, 14:00 საათზე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეგიდით, გახსნის მოედანს (მის.: მერაბ ალექსიძის ქუჩა, N2) , რომელსაც მიენიჭა ქართველი ფილოლოგისა და ხელნაწერთა ეროვნული ინსტიტუტის დამაარსებლის - ილია აბულაძის სახელი. 14:30 საათზე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (მის.: მერაბ ალექსიძის ქუჩა, N1/3) ელენე მეტრეველის დარბაზში კი გაიმართება ლია აბულაძის წიგნის - „მოგონებების გაფანტული ფურცლები“ - პრეზენტაცია.

2018 წლის ივნისის თვეში ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რათა თბილისის ერთ-ერთი უსახელო მოედნისთვის პროფესორი ილია აბულაძის სახელი მიენიჭებინათ. ამავე წლის სექტემბერში საკრებულომ გამოსცა განკარგულება და დააკმაყოფილა ცენტრის მოთხოვნა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისთვის ილია აბულაძე წარმოადგენს მნიშვნელოვან ფიგურას. 1958 წელს მან დააარსა ხელნაწერთა ინსტიტუტი (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), რომელიც მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ილია აბულაძის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები თავიანთი ლიტერატურული და ზოგადკულტურული მნიშვნელობითა და ღირებულებით მეტყველებენ მათი ავტორის ღრმა ერუდიციაზე, პროფესიონალიზმსა და მეცნიერულ ეთიკაზე.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაბიძე, *საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,* Tel: 577 977 199

მარია წერეთელი, *საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის სპეციალისტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,* Tel: 598 848 488

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge